

## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

### ბათუმის სივრცის დაგეგმარებისა და გენერალური გეგმის კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა

**სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის დასახელება:** ბათუმის სივრცის დაგეგმარებისა და გენერალური გეგმის კონცეფცია

**დამგეგმავი ორგანო:** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

**სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი:** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორია

2023 წლის 30 აგვისტოს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ბათუმის სივრცის დაგეგმარებისა და გენერალური გეგმის კონცეფცია და სკოპინგის განცხადება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი ბათუმის სივრცის დაგეგმარებისა და გენერალური გეგმის კონცეფციისა და სკოპინგის განცხადების (თანდართული დოკუმენტაციით), როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსება (<http://eia.gov.ge/ka/info/8a585bd4-24b6-4c65-b2b9-213fcd25f75b>), ასევე, დოკუმენტაციის გაგზავნა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. აღნიშნული დოკუმენტაცია განთავსდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე (<https://batumi.ge/ge/index.php?page=show&sec=176>).

სკოპინგის განცხადება მოიცავს ინფორმაციას, როგორც დამგეგმავი და უფლებამოსილი ორგანოების შესახებ, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებით გათვალისწინებული პროცედურების თაობაზე.

ბათუმის ადმინისტრაციული საზღვარი განსაზღვრულია ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმის საფუძველზე და მოიცავს 6494.3 ჰა-ს. განაშენიანების სტრუქტურისა და ფუნქციური დანიშნულების კვლევისას გამოყენებული იყო საბალანსო ერთეულების გამოყოფის მეთოდი.

ეფექტიანობის შეფასებისა და გეგმის ზეგავლენების დოკუმენტის თანახმად, განხილულია სივრცითი დაგეგმარების გეგმისა და გენერალური გეგმისთვის შემუშავებული 3 ალტერნატიული სცენარი:

- პოლიცენტრული განვითარება, გრძივი და განივი კავშირების გაძლიერებით;

- ალტერნატივა 1 - ახალ საზღვრებში განვითარება;
- ალტერნატივა 2 - მსხვილი ინფრასტრუქტურული ცვლილებები;

ეფექტიანობის შეფასებით (SWOT ანალიზით), „სიცოცხლისუნარიან“ ალტერნატივად მიჩნეულია, ბათუმის არსებულ ადმინისტრაციულ საზღვრებში პოლიცენტრულად, გრძივი და განივი კავშირების გაძლიერებით განვითარება.

სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, დღევანდელი მდგომარეობით, ურბანული სერვისების უმეტესობა ქალაქის ცენტრალურ ნაწილშია თავმოყრილი. შესაბამისად, ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმაში წარმოდგენილია პოლიცენტრული განვითარების სტრატეგია, რომლის მიზანია ქალაქის ცენტრის განტვირთვა და კონკრეტული არეალების კონცენტრირებულად განვითარება. პოლიცენტრული განვითარება, წარმოდგენილია შემდეგი იერარქიით:

**ქალაქის ცენტრი** - ქალაქის ისტორიული ნაწილის გაფართოებული ტერიტორია;

**ქვე-ცენტრები:** ანგისა, აეროპორტი, ბაგრატიონი;

**საუბნო ცენტრები:** მახინჯაური, ხელვაჩაური, გონიოს საუბნო ცენტრი;

**სპეციალიზირებული ცენტრები:** სპეციალიზირებული ცენტრი - განათლება და სპეციალიზირებული ცენტრი - კომერცია/ლოჯისტიკა.

**სატრანზიტო კვანძები:** კვანძი ბათუმი-ხელვაჩაურის მიმართულებით გზის კვეთაზე, სამხრეთით და კვანძი ამჟამინდელი ბათუმის ჩრდილოეთ შემოსასვლელთან.

თითოეული არეალისთვის დოკუმენტში განსაზღვრულია 2035 წლის მდგომარეობით ფუნქციური დატვირთვა (პროცენტულად), ასევე 2035 წლისთვის მოსახლეობის სიმჭიდროვისა და ერთ სულ მოსახლეზე რეკრეაციის წილის პროგნოზი.

დანართის სახით წარმოდგენილია ახალი საუბნო განაშენიანების სარეკომენდაციო მოსაზრებების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ქალაქგეგმარებითი წინადადება - „ბასმისა“ და სივრცით-ფუნქციური რეორგანიზაცია - „ბენზეს“ შესახებ.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ბათუმის ახალი სამეზობლო - მთისძირი („ბასმი“) მდებარეობს მე-11 საბალანსო ტერიტორიაზე. ტერიტორიის ფართობია 100 ჰექტარი. არსებული მდგომარეობით, ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავს ბრაუნფილდებსა და საწარმო-ლოჯისტიკურ ობიექტებს, განაშენიანება შერეულია, ქაოტური ხასიათი აქვს. ასევე, ტერიტორიაზე არსებობს ბათუმის ტექნოპარკი და დიდი სპორტული კომპლექსი. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის ათვისებული. დოკუმენტის თანახმად, ტერიტორიაზე უნდა მოხდეს ბრაუნფილდების რეორგანიზაცია და მწვანე სივრცეების ფორმალურ და არაფორმალურ საჯარო სივრცეებად ფორმირება. ტერიტორიის ძირითადი ნაწილის ფუნქციური დატვირთვა საცხოვრებელ სექტორზეა გათვლილი. საცხოვრებელი ბინების სიმაღლე განისაზღვრა 26 მეტრით, სართულიანობა - 7 დონით. ტერიტორიის ნაწილი

დაეთმოა სპორტის სექტორს, რეკრეაციას და კულტურას. ტერიტორიაზე განხილულია ბათუმის ახალი ცენტრალური პარკის მოწყობა. დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიაზე აშენდება სამდონიანი სავაჭრო მოლი, მოეწყობა გადახურული „მეგა-ბაზარი“ და მასთან დაკავშირებული საწყობი მეურნეობა.

მეორე ახალი საუბნო განაშენიანების ერთეული მდებარეობს თამარის დასახლების (ბენზეს) ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ტერიტორიაზე (ფართობით 61 ჰექტარი). დოკუმენტის თანახმად, ამჟამად მუშავდება რამდენიმე კვლევა ნიადაგის ტოქსიკურობისა და გამოყენებადობის შესაფასებლად, ხოლო ნიადაგის რეაბილიტაციისა და დეკონტამინაციის შემდეგ, ტერიტორია მოიაზრება ერთ-ერთ პოტენციურ განვითარების ზონად. დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სივრცით-ფუნქციური სტრუქტურა შემდგარი იქნება: საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, საცხოვრებელი კომპლექსები, სპორტულ-სარეკრეაციო და აქტიური დასვენების ობიექტები (სტადიონი, კორტები, გასასვლელები, აუზები და წყლის ატრაქციონები, ბაქნები და ღია მოედნები, შენობა-ნაგებობები), შიდასაუბნო მწვანე საფარი, მწვანე გარე სივრცეები და საპარკე ზონა, გზები, გასასვლელები და მოედნები.

დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაცია ბათუმში არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტებზე. ნაგებობების უმეტესი ნაწილი ბათუმის ისტორიული განაშენიანების დაცვის სარეკომენდაციო ზონაშია მოქცეული, ორ ათეულამდეა განაშენიანების რეგულირების ზონაში, აღნიშნული ზონების გარეთ კი, მხოლოდ რამდენიმე ობიექტი. დოკუმენტში ასევე მითითებულია ბათუმური ტიპის ეზოების დასაცავად და შენარჩუნება-რეაბილიტაციისთვის, ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და მათი რეჟიმების დროული დამტკიცების საჭიროებაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სივრცითი დაგეგმარებისთვის შემუშავებულია ორი ძირითადი დარგობრივი გეგმა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა და ლანდშაფტის დაცვის გეგმა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმის დოკუმენტში განხილულია გენერალური გეგმის ვარიანტული ანალიზის ტრანსპორტის მოდელირება. დოკუმენტის თანახმად, ახალი პოლიცენტრული უბნების გაჩენა და ზოგადად, საგზაო ქსელში ცვლილებები არ გააუარესებს ქალაქში სატრანსპორტო მდგომარეობას. აღნიშნულ გეგმაში ასევე წარმოდგენილია გრძივი და განივი კავშირების ჩამოყალიბების საკითხი, რომლის ერთ-ერთი მიზანია ქალაქის სტრუქტურული რღვევის აღდგენა, არსებული კავშირების გაუმჯობესება.

ლანდშაფტის დაცვის გეგმის თანახმად, ბათუმის ტერიტორიაზე რეკრეაციულ ზონასა და ბულვარის მიმდებარე ტერიტორიებზე არქიტექტურული ხაზის მნიშვნელოვანი დარღვევები არსებობს, კერძოდ, ზღვის სანაპიროზე აშენებული 30-50 სართულიანი მაღალსართულიანი სასტუმროები ხელს უშლის ზღვის ნიავისა და იონიზებული ჰაერის შეღწევას ქალაქის

ტერიტორიაზე და იწვევს არასასიამოვნო თერმულ პირობებს ზაფხულის პერიოდში. ასევე, დოკუმენტის თანახმად, მაღლივი შენობები, უსახურს ხდიან ზღვის სანაპიროს პეიზაჟებს და ფარავენ ქალაქის გარშემო არსებული მთების ხედებს. დოკუმენტის თანახმად, ბათუმის საზღვაო სანაპიროს რეკრეაციული ზონების ეკოლოგიური მდგომარეობა, ტურისტების მატებასთან ერთად, თანდათანობით უარესდება. დოკუმენტში ასევე განხილულია ბათუმის ცენტრის და მისი სამხრეთ-დასავლეთით განვითარების მიმართულებით, კერძო ავტოტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვის, მდგრადი და ენერგოეფექტური მუნიციპალური ტრანსპორტის, ველოსიპედებით და ელექტროსკუტერებით მისი ჩანაცვლების, აგრეთვე ფეხმავალთა მოძრაობის წახალისების მნიშვნელობის საკითხები. აღნიშნული კუთხით შემუშავებულია ფეხით გადაადგილების კონცეფცია ძველი ქალაქის საზღვრებში. დოკუმენტის თანახმად, ანალოგიური კონცეფციები შესაძლოა ბათუმის სხვა არეალებისთვისაც შემუშავდეს.

ლანდშაფტის დაცვის გეგმის თანახმად, ინტენსიური და ქაოტური ახალმშენებლობების ფონზე, ბათუმისთვის მნიშვნელოვანია მწვანე სივრცეების რაოდენობისა და მათზე ბათუმის სხვადასხვა უბნის მაცხოვრებელთა და დამსვენებელთა ხელმისაწვდომობის გაზრდა. დოკუმენტის თანახმად, ბათუმში ერთიანი მწვანე სისტემის პრობლემის გარდა, ქალაქში პრაქტიკულად არ არსებობს კავშირი ძველ ქალაქსა და მთას, მთასა და ზღვას შორის. დოკუმენტის თანახმად, „გმირთა ხეივანზე“, განივმა, ხაზოვანმა პარკმა შეიძლება მიიღოს მთისა და ზღვის შემაერთებელი ბიომრავალფეროვნების კორიდორის ფუნქცია. განივი კავშირების გაძლიერებაში, „ლანდშაფტური კავშირების“ სახით უნდა მოხდეს სხვა ქუჩების ჩართვაც, რომლებსაც ამის პოტენციალი გააჩნიათ. განხილულია 12 ამგვარი ლანდშაფტური კავშირი ზღვასა და მთას, აგრეთვე მდ. ჭოროხის დელტასა და მთას შორის.

წარმოდგენილი ლანდშაფტის დაცვის გეგმის თანახმად, ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორიები მოიცავს ლანდშაფტური და სარეკრეაციო ფუნქციის ტერიტორიებს. ასევე, დოკუმენტის მიხედვით, ბათუმის ურბანულ ქსოვილში, ორი, გრძივი და განივი ბულვარის კვეთა, მნიშვნელოვანი და აუცილებელი მოცემულობაა, რომელმაც, სხვა, საპროექტო „მწვანე დერეფნებთან“ ერთად უნდა უზრუნველყოს იმ დეფიციტის აღმოფხვრა, რომელიც არსებობს ქალაქში „მწვანე“ ურბანული კავშირების თვალსაზრისით.

ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმაში წარმოდგენილია განსაკუთრებული რეჟიმის ტერიტორიები რომელთაც, ფუნქციური დანიშნულების გარდა, უნდა განესაზღვროთ დამატებითი პარამეტრი. ეს ტერიტორიებია: ქალაქის ისტორიული ცენტრი, რომელსაც დამატებით უნდა განესაზღვროს 12 მეტრიანი სიმაღლის შეზღუდვა, ფერიას მთა და გონიოს მთის ტერიტორია, რომელთაც უნდა განესაზღვროს დამატებითი პარამეტრი ქაოტურად განვითარების შესაჩერებლად.

განვითარების შესაძლებლობებისა და ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების დანართში მოცემულია ინფორმაცია წამახალისებელი ღონისძიებების შესახებ. წამახალისებელი

ზონირების გამოყენების შესაძლებლობები განისაზღვრა შემდგომ კატეგორიებში: არსებული კვლევითი მასალების ეფექტიანობა, სარეაბილიტაციო არეალები, სარეკონსტრუქციო არეალები. დოკუმენტში იდენტიფიცირებულია სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო არეალები.

დოკუმენტაციის სივრცის განვითარების ნაწილში განხილულია მდინარე ჭოროხზე 2.5 კმ სიგრძის საფეხმავლო ხიდის მოწყობა, რომელიც ბათუმის ცენტრალური ნაწილის ბულვარს დააკავშირებს გონიოს ბულვართან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გენერალური გეგმის ერთ-ერთი ამოცანა არის ქალაქ ბათუმის სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო ტერიტორიული რესურსის მოძებნა და რეზერვაცია.

სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილია საჯარო სივრცეებთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათ შორის ხელმისაწვდომობა და ფეხით მოსიარულეთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა). ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია „ზღვისა და მთის კონცეფციის“ შესახებ, რაც გულისხმობს ამ ორი ელემენტის ინტეგრაციას ქალაქის სტრუქტურაში და მათ შორის კავშირის გაუმჯობესებას.

კონცეფციის რუკაზე მდინარეთა სანაპიროებთან მონიშნულია ის პოტენციური არეალები, რომელთა ინტეგრაციაც უნდა მოხდეს მდინარისპირა გამწვანებული ტერიტორიების სისტემაში. დოკუმენტის თანახმად, მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპირო, მიმდებარედ არსებული ინდუსტრიული უბნიდან გამომდინარე მიჩნეულია სენსიტიურ არეალად. ინდუსტრიულ უბანში წარმოდგენილია ქ. ბათუმის სამრეწველო დანიშნულების ობიექტების თითქმის 60%, რომლებიც პირდაპირ ემიჯნებიან ჭოროხის სანაპიროს, რაც დოკუმენტის თანახმად, მნიშვნელოვან წინაღობას წარმოადგენს მწვანე შეკავშირებულობის გაუმჯობესებისთვის.

დოკუმენტაციაში შეფასებულია ქალაქ ბათუმის ელ. მომარაგების, გაზომომარაგების ქსელის არსებული მდგომარეობა, ასევე წარმოდგენილია რეკომენდაციები, უბნების მიხედვით, გენერალური გეგმის განხორციელებით გამოწვეული ზრდის გათვალისწინებით. დოკუმენტის თანახმად, გენერალური გეგმით ნაანგარიშები ზრდის გათვალისწინებით, არსებული ცენტრალური მაგისტრალები საკმარისია აბონენტების წყალმომარაგებით დასაკმაყოფილებლად და საჭირო იქნება კონკრეტული დაქსევა უშუალოდ მომხმარებლამდე. ამასთან, კონცეფციის თანახმად, სანიაღვრე ინფრასტრუქტურის მხრივ, ბათუმში არის პრობლემური ზონები. მოცემულია ქალაქ ბათუმის სანიაღვრე ქსელის განვითარების რეკომენდაციები, რომელთა მიხედვითაც, იდენტიფიცირებულ უბნებში უნდა მოხდეს სანიაღვრე ქსელის გადაანგარიშება, კონკრეტული მოთხოვნის კალკულაცია, ქსელის პროექტირება და სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილია ინფორმაცია გეგმარებითი არეალის კლიმატის, ბიომრავალფეროვნების, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობების შესახებ. დაგეგმვის ობიექტის დანართში ასევე მოცემულია ინფორმაცია ქ. ბათუმის და მისი შემოგარენის ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლა/შეფასების მიზნით ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ნიადაგების ხარისხის და ხმაურის გავრცელების დონის კვლევის შესახებ.

სკოპინგის განცხადების მიხედვით, ქალაქის ურბანიზაციის სწრაფმა ტემპმა განაპირობა მდინარეების ხელოვნურ არხებსა და კულვერტებში მოქცევა, რაც გარკვეულწილად ხეობების ზოგიერთ უბანზე წყალმოვარდნების შედეგად დატბორვის საფრთხეს ქმნის (წარმოდგენილია შესაბამისი მაგალითი). განცხადების თანახმად, განაშენიანების დეტალური გეგმების შედგენის დროს, დატბორვის არელების გამოვლენის მიზნით, საჭიროა სიღრმისეული ჰიდროლოგიური კვლევები. აგრეთვე, სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილი მდინარეების გარკვეულ უბნებზე, დოკუმენტის თანახმად, აუცილებელია მდინარეთა კალაპოტების გაწმენდა ხე-მცენარეებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან, ასევე კალაპოტების დაღრმავება და ფსკერული ნატანი მასალისგან გაწმენდა.

სკოპინგის განცხადების მიხედვით, ქ. ბათუმის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, განხორციელდა სპეციალური საველე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, რომლის მიხედვით, საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებულია მეწყრები, ღვარცოფები, კლდეზვავ/ქვათაცვენები, გვერდითი ეროზია და ზღვის მიერ სანაპირო ზოლის გამორეცხვა (აბრაზია). სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილია იმ მეწყრული სხეულების აღწერა, რომლებიც პერმანენტულად აზიანებს საკვლევ ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ინფრასტრუქტურასა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. ამასთან, სკოპინგის განცხადების თანახმად, ლოკალურ უბნებზე განვითარებული მეწყრული და ეროზიული პროცესები საჭიროებენ პერიოდულ მონიტორინგს და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

სკოპინგის განცხადებაში მოცემულია ინფორმაცია საკვლევ ტერიტორიაზე დაფიქსირებული აბრაზიის პროცესების შესახებ. დოკუმენტის თანახმად, პრევენციის მიზნით, კომპლექსური (საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, ბათიმეტრიული და სხვა) კვლევების საფუძველზე, საჭიროა, თითოეული უბნისთვის შემუშავდეს და განხორციელდეს ინდივიდუალური ნაპირსამაგრი ნაგებობის (ტალღამრიდის, ტალღის ჩამქრობის, ტეტრაპოდების, ფლეთილი ქვის ლოდების ან სხვა) ტიპის შერჩევა და მშენებლობა.

დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაცია საკვლევ ტერიტორიის ფარგლებში არსებული ქვათაცვენა/კლდეზვავური კერებისა და გვერდითი ეროზიების შესახებ, ადგილმდებარეობისა და პრევენციული ღონისძიებების მითითებით.

სკოპინგის განცხადების თანახმად, ბათუმის მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირებულია საქართველოში გავრცელებულ ფრინველთა სახეობების უმეტესობა (301 სახეობა).

დოკუმენტში მოცემულია საკვლევ არეალში გავრცელებულ ფრინველთა ნუსხა. ასევე, წარმოდგენილია ინფორმაცია ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია - „ჭოროხის დელტასა“ და „ბათუმის“ შესახებ.

სკოპინგის განცხადების მიხედვით, ქალაქ ბათუმის სიახლოვეს მდებარეობს სხვადასხვა კატეგორიის შემდეგი დაცული ტერიტორია: მაჭახელას ეროვნული პარკი, კინტრიშის დაცული ტერიტორიები - კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი და კინტრიშის ეროვნული პარკი, მტირალას ეროვნული პარკი, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და ქობულეთის აღკვეთილი.

სკოპინგის განცხადების თანახმად, გეგმარებით არეალში მოქცეულია ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტი - ჭოროხის დელტა GE0000054, რომელიც „სამიგრაციო ძაბრის“ ნაწილია. ჭოროხის დელტა, სკოპინგის განცხადების მიხედვით, ძლიერ ანთროპოგენურ ზეწოლას განიცდის საიტის ტერიტორიაზე არსებული ნაგავსაყრელით. ასევე ხშირია ნარჩენებით დაბინძურებისა და ბრაკონიერობის ფაქტები. დოკუმენტის თანახმად, არსებული ჰაბიტატებისა და სახეობების დასაცავად აღნიშნული საიტის საზღვრებთან უნდა შეიქმნას ერთგვარი ბუფერული ზონა, სადაც დაშვებული იქნება მხოლოდ ისეთი საქმიანობების განხორციელება, რაც უზნის საკონსერვაციო სტატუსზე უარყოფით ზეგავლენას არ იქონიებს.

სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილია ინფორმაცია ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობისა (მათ შორის პროგნოზი) და წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ. დოკუმენტის თანახმად, ქალაქ ბათუმში შეგროვებული ნარჩენების განთავსება ხდება ქ. ბათუმში არსებულ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელ პოლიგონზე, მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე, უშუალოდ მდინარის წყალდაცვით ზოლში. აღნიშნული ნაგავსაყრელი, დოკუმენტის თანახმად, გარემოს დაბინძურების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს, რომელიც მრავალი წელია ნეგატიურ გავლენას ახდენს გარემოს კომპონენტებზე. დოკუმენტის თანახმად, ქალაქ ბათუმში მოეწეობა ნარჩენების გადამტვირთავი სადგური, სადაც დროებით განთავსდება ბათუმის ტერიტორიაზე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა მუნიციპალიტეტებში შეგროვებული ნარჩენები. გადამტვირთ სადგურზე შეგროვებული ნარჩენები პერიოდულად გადაიზიდება ახალ რეგიონულ ნაგავსაყრელზე. დოკუმენტის თანახმად, ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე, მდინარე ჭოროხის მიმდებარედ არსებობს დაბინძურებული ადგილები, სადაც დიდი რაოდენობით სამშენებლო ნარჩენებია განთავსებული.

სკოპინგის განცხადების თანახმად, სგმ-ის ანგარიშში ალტერნატივების განხილვა მოხდება შემდეგი დონეებისთვის: სტრატეგიული ალტერნატივები, გეგმარებითი ალტერნატივები, კონკრეტული საქმიანობის ალტერნატივები.

სკოპინგის განცხადების თანახმად, სგმ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი იქნება 3 ალტერნატივა (ვარიანტულ ანალიზში): ნულოვანი ალტერნატივა - არსებული ტრენდებისა

და მდგომარეობის აღწერა, ეკონომიკურ მოცულობაზე ორიენტირებული ქალაქის ალტერნატივა და ცხოვრების ხარისხზე ორიენტირებული ქალაქის ალტერნატივა. სკოპინგის განცხადების მიხედვით, სგშ-ის ეტაპზე მოხდება აღნიშნული ალტერნატივების ერთმანეთთან შედარება, ამასთან, ალტერნატივების განხილვა/შეფასებისას უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებული მხარეების (ადგილობრივი თვითმმართველობა, სხვადასხვა ორგანიზაციები, მოსახლეობა და სხვა.) ჩართულობა და მათი მოსაზრებების გათვალისწინება. საბოლოოდ, შეირჩევა გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით პრიორიტეტული ალტერნატივა.

სკოპინგის განცხადების მიხედვით, სტრატეგიული ალტერნატივების სივრცითი ანალიზი შესრულებული იქნება შემდეგი ინდიკატორების საშუალებით: გარემოს ხარისხი, ცხოვრების დონე, საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა, ტურისტული მიმზიდველობა, კულტურული მემკვიდრეობა, ბუნებრივი საფრთხეები, სხვა შესაძლო ინდიკატორ(ებ)ი. წარმოდგენილია შესაბამისი ინდიკატორული შეფასების რანჟირების მატრიცა. დარგობრივი მონაცემებით ინტეგრალური ინდიკატორის მისაღებად ალტერნატივების ანალიზი იწარმოებს გასაშუალოების (ართომეტიკული ან გეომეტრიული) და შეწონვის კოეფიციენტების ვარიანტების საფუძველზე. დარგობრივი წონების ალტერნატიული მნიშვნელობები ექსპერტული შეფასების და დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების და ინტეგრალური შედეგების საფუძველზე იქნება შეჯერებული.

სკოპინგის განცხადების მიხედვით, გეგმარებითი ალტერნატივების შერჩევა მოხდება შემოთავაზებული ალტერნატივების (მათ შორის ნულოვანი ალტერნატივა) გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების ფაქტორის ხარისხის გათვალისწინებით. აღნიშნული გარემოს კომპონენტებია გეოლოგია, ნიადაგები, მიწის გამოყენება, წყლის რესურსები, ჰაერის ხარისხი. წარმოდგენილია შესაბამისი მატრიცა რანჟირების დონეების მითითებით.

სგშ-ის ანგარიშში კონკრეტული საქმიანობების ალტერნატივების რანჟირების ანალოგიური მიდგომები იქნება გამოყენებული მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე საქმიანობებისთვის. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია შესაბამისი მატრიცა, რომელსაც მითითებული აქვს რანჟირებები. სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორების მატრიცა. მატრიცაში წარმოდგენილია დაგეგმვის საკითხები, შემოთავაზებული ქმედებები და სტრეს-ფაქტორები, ასევე მოცემულია ბიომრავალფეროვნების, ნიადაგის, კლიმატის, ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ლანდშაფტის, დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის, ჯანმრთელობის, სოციალურ-ეკონომიკური საკითხების ველები. მოცემულია რანჟირებები სავარაუდო მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო უარყოფითი ეფექტების შესახებ, რაც განხილული იქნება სგშ-ს ანგარიშში.

სკოპინგის განცხადების თანახმად, გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასებისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი საბაზისო კვლევების



განხორციელება. საბაზისო კვლევების საშუალებით გამოვლინდება მაღალსენსიტიური რეცეპტორები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო მავნე ზემოქმედების მასშტაბებისა და ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსასაზღვრად. ჩასატარებელი საბაზისო კვლევების საჭიროებაზე გავლენა ასევე შესაძლოა იქონიოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობამ, რაც სგმ-ის ანგარიშში იქნება ასახული.

სკოპინგის განცხადებაში მოცემულია ინფორმაცია სგმ-ს პროცესში, კონკრეტული გეგმარებითი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ჩასატარებელი შემდეგი კვლევების თაობაზე:

- ურბანული ბიომრავალფეროვნებისა და მწვანე სივრცეების კვლევა;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების კვლევა;
- ზედაპირული წყლის ხარისხის კვლევა;
- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის და ხმაურის დონის კვლევა;
- ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა;
- დარგთაშორისი კვლევები.

სკოპინგის განცხადების თანახმად, მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად, შესაძლოა საჭირო გახდეს სხვა დამატებითი კვლევების ჩატარება. ჩატარებული კვლევის შედეგების საშუალებით მოხდება შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრა შემდეგი რეცეპტორებისთვის: ატმოსფერული ჰაერი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, ნიადაგი, ბიოლოგიური გარემო, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, არქეოლოგიური ძეგლები, სოციალური გარემო.

კონცეფციის სგმ-ის სკოპინგის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია განხილვის მიზნით გაეგზავნა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს, სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისგან სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ შენიშვნებისა და მოსაზრებების მიღების შემდგომ, დამატებით გაეგზავნება დამგეგმავ ორგანოს.

საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

### **სგმ-ს ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. სგმ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 26-ე მუხლით დადგენილ ინფორმაციას;

2. სგმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის განცხადებაში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია.
3. სგმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტისთვის საკვანძო გარემოსდაცვითი საკითხები და სგმ-ის პროცესში შესწავლილი ზემოქმედებები;
4. სგმ-ის ანგარიშში უნდა შეფასდეს გეგმის სხვადასხვა სექტორულ და მულტისექტორულ სტრატეგიულ დოკუმენტებთან კავშირი;
5. სგმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების/ხედვების განხორციელების საანგარიშო პერიოდი, მათ შორის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართებით გათვალისწინებული იმ საქმიანობების ვადების მითითებით, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში;
6. სგმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს გეგმარებითი არეალის კვლევის შედეგად გამოვლენილი დაბინძურებული ადგილების შესახებ ინფორმაცია, კოორდინატებისა და შესაბამისი ღონისძიებების მითითებით.
7. სგმ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე უნდა განხორციელდეს შესაბამისი კვლევები, სტრატეგიულ დოკუმენტში მითითებული ინდუსტრიული/საწარმოო ტერიტორიების, ე.წ. „ბრაუნფილდების“ სხვა მიზნობრიობით (დანიშნულებით) გამოყენება/განვითარების და რეორგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის უნდა მოხდეს გარემოს არსებული მდგომარეობის შესწავლა. სგმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული კვლევების შედეგები.
8. სგმ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე უნდა განხორციელდეს ახალ საუბნო განაშენიანების ტერიტორიებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების დეტალური და კომპლექსური კვლევა ნიადაგზე, ასევე, უნდა იდენტიფიცირდეს ყველა სახის ნარჩენი (განისაზღვროს მათი სახიფათოობა) და შემუშავდეს მათი მართვის საკითხები, კანონმდებლობის შესაბამისად. სგმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები.
9. სგმ-ის ანგარიშში საჭიროა, კომპლექსურად იყოს შესწავლილი ახალი საუბნო განაშენიანების ტერიტორიებსა და მათ მიმდებარედ არსებული საწარმოებისა და საქმიანობების შესახებ ინფორმაცია და შეფასებული იყოს მათი სავარაუდო ზემოქმედება ახალ საცხოვრებელ უბნებზე.
10. სგმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, თარიღების, განხილული საკითხებისა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში მიღებული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ, მათ შორის დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგები.
11. სგმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში

შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისათვის;

12. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა იყოს განხილული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით წყლის გარემოზე, ნიადაგსა და გარემოს სხვა კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი და წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი შემარბილებელი და მონიტორინგის ღონისძიებების გეგმები (პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მითითებით).
13. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის ხედვებისა და დაგეგმილი ღონისძიებების განმახორციელებლ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია.
14. **სგშ-ს ანგარიშის** მომზადებისას შეფასებული და გათვალისწინებული უნდა იყოს სანიაღვრე და წყალარინების სისტემების გავლენა შავი ზღვის მიმდებარე აკვატორიის წყლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს პრობლემურ ზონებზე და შესაბამისად, დაიგეგმოს სათანადო სარეკონსტრუქციო, სამშენებლო სამუშაოები და სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული სხვა ხედვები (აღნიშნული საკითხები აისახოს სგშ-ის ანგარიშში).
15. **სგშ-ის ანგარიშში** დეტალურად უნდა იყოს აღწერილი საპროექტო ტერიტორიაზე წყალმომარაგებისა და ასევე ჩამდინარე წყლების მართვის საკითხები.
16. **სგშ-ის ანგარიშის** გეოლოგიური ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს ქვეთავების სახით, შემდეგი თანმიმდევრობით: რელიეფი (გეომორფოლოგია), გეოლოგიური აგებულება, სეისმური პირობები, ჰიდროგეოლოგიური პირობები, საინჟინრო - გეოლოგიური პირობები, გეოლოგიური საფრთხეების შეფასება, შესაბამისი ზონირების რუკის შემუშავებით.
17. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს ბათუმის სანაპირო ზოლის დეტალური მორფოდინამიკური პროცესების ანალიზი და შესაბამის კვლევებზე დაფუძნებული სარეაბილიტაციო სამუშაოების რეკომენდაციები. ამასთან, ე.წ. „ახალი ბულვარის“ და ჩაქვის სანაპირო ზოლთან ერთად აღწერილი და შეფასებული უნდა იქნას სანაპირო ზოლის სხვა უბნებიც. ასევე, სგშ-ის ანგარიშში უნდა იყოს განსაზღვრული სანაპირო ზოლის განაშენიანების რეგლამენტი.
18. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს გეგმარებით არეალში არსებული მდინარეების/ხეობების დეტალური ჰიდროლოგიური კვლევა/მოდელირებით და წყალდიდობა/წყალმოვარდნების საფრთხეების შეფასება.
19. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა აისახოს ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების, მასშტაბების და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.
20. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს დამატებითი და სრულფასოვანი ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძიებების/პროექტების განხორციელებით ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედების შესახებ, ვინაიდან გეგმარებითი არეალის ნაწილი, ბიომრავალფეროვნების კუთხით, მაღალი საკონსერვაციო ღირებულებითა და სენსიტიური კომპონენტებით გამოირჩევა.

21. **სგშ-ის ანგარიშში** განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ ასპექტებზე: გეგმარებით არეალი კვეთს ფრინველთა სამიგრაციოდ მნიშვნელოვან მარშრუტს. შესაბამისად, საჭიროა ფრინველთათვის მნიშვნელოვან ტერიტორიებზე, ზურმუხტის ტერიტორიაზე და ბიომრავალფეროვნებისათვის მნიშვნელოვან სხვა ტერიტორიებზე ზემოქმედებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ, დეტალური და სრულფასოვანი ინფორმაციის (მათ შორის მოძველებული მონაცემების განახლება, ტერმინოლოგიურად და შინაარსობრივად გამართვა და ა.შ.) სგშ-ის ანგარიშში ასახვა. ასევე, სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური და სრულფასოვანი ინფორმაცია იმ (ზოგად, ტექნიკურ და ა.შ.) მონაცემების შესახებ, რომელიც საჭიროა ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედების სახეების განსაზღვრისა და პრევენციისათვის.
22. **სგშ-ის ანგარიშსა** და სტრატეგიულ დოკუმენტში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საკითხი: მაღალსართულიანი შენობების მშენებლობის შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული ფრინველებზე და ხელფრთიანებზე (საჭიროებისამებრ) ზემოქმედების საკითხზე. სგშ-ის ანგარიშში უნდა იყოს განსაზღვრული აღნიშნული ზემოქმედების სახეები და ხარისხი, იდენტიფიცირებული და წარმოდგენილი იყოს პრევენციული ღონისძიებები, სათანადო დასაბუთებით.
23. **სგშ-ის ანგარიშში** დეტალურად უნდა იყოს განხილული ზურმუხტის ქსელის ჭოროხის დელტის საიტზე (GE0000054) და მის მიმდებარედ დაგეგმილი ღონისძიებები/აქტივობები. ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით მისი უნიკალურობიდან გამომდინარე, აღნიშნული ტერიტორიის დაცვა-შენარჩუნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. შესაბამისად, წარმოსადგენ დოკუმენტაციაში უნდა აისახოს ინფორმაცია აღნიშნული ტერიტორიის ღირებულებების, შესაძლო ზემოქმედებით მოსალოდნელი ზიანის სხვადასხვა ასპექტისა და ფაქტების/ფაქტორების შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშში მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ინსტრუმენტის შესახებ. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული შეფასების ჩატარების საჭიროებასთან დაკავშირებით დასაბუთებული ინფორმაცია. აღნიშნულ ინფორმაციაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ფრინველებზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე, ასევე ზურმუხტის ტერიტორიაზე გავრცელებულ სხვა სახეობებსა და ჰაბიტატებზე, რომლებიც ასევე ღირებულია ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით. ამავე მიდგომით უნდა შეფასდეს ზოგადად გეგმარებით ტერიტორიაზე არსებული სახეობები და სენსიტიური ჰაბიტატები. შედეგად, სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია განაშენიანების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების/ხედვების განხორციელებით სენსიტიურ ჰაბიტატებზე, ზურმუხტის ტერიტორიაზე და სხვა დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედების შესახებ. ასევე, სგშ-ის ანგარიშში

წარმოდგენილი უნდა იყოს დამატებითი ინფორმაცია ზემოქმედების თავიდან აცილებისა და საჭიროების შემთხვევაში, შემარბილებელ ღონისძიებების შესახებ.

24. **სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს** ინფორმაცია ითვალისწინებს თუ არა სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებები დოკუმენტაციაში აღნიშნული ლანდშაფტური პარკის მოწყობას ზურმუხტის საიტის ტერიტორიაზე. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული პარკის მოწყობის პირობები.
25. **სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს** ინფორმაცია ზურმუხტის ქსელის საიტის საზღვრებთან გათვალისწინებული “ბუფერული ზონის” შესახებ. მითითებული იყოს აღნიშნული ზონის დანიშნულება, შეზღუდვისა და ნებადართული ღონისძიებების პირობები. წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მდინარე ჭოროხზე 2.5 კმ სიგრძის საფეხმავლო ხიდის მოწყობის პირობების და შესაძლო ზემოქმედების შესახებ.
26. **სგშ-ის ანგარიშში** საჭიროა, განხილული იყოს შავ ზღვასთან დაკავშირებული განვითარების ღონისძიებები/პროექტები და გეგმები, ისეთ სფეროებსა და მიმართულებებთან დაკავშირებით, როგორცაა მაგალითად: საზღვაო გადაზიდვებთან დაკავშირებული გეგმები და კონკრეტული პროექტები; თევზჭერა, აკვაკულტურა და მისი განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა; ტურიზმის განვითარების საქმიანობა; ზღვის ბიომრავალფეროვნების - სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის ასპექტები და ა.შ.
27. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც განაშენიანების სტრატეგიული, გეგმარებითი და კონკრეტული ალტერნატივების განხილვა, ასევე, ამ ალტერნატივების შეფასება და შედარება გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი ზემოქმედების თვალსაზრისით. ალტერნატივების შერჩევა უნდა მოხდეს შემოთავაზებული ალტერნატივების (მათ შორის ნულოვანი ალტერნატივა) გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების (მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების ხარისხისა და მასშტაბის) ფაქტორის ხარისხის გათვალისწინებით. წარმოდგენილი უნდა იყოს ალტერნატივების შერჩევის მიმოხილვა. დოკუმენტაციით წარმოდგენილი ალტერნატივების „ვარიანტული ანალიზისას“ შედარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს გარემოს კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება.
28. **სგშ-ის ანგარიშში** შეფასებული და წარმოდგენილი უნდა იყოს ურბანული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ღონისძიებები.
29. **სგშ-ის ანგარიშში** გათვალისწინებული უნდა იყოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ასპექტები. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს კლიმატის ცვლილების რისკები და საბაზისო მონაცემების/ინფორმაციის ანალიზი კლიმატის ცვლილების ასპექტებთან დაკავშირებით, აგრეთვე, კლიმატის ცვლილების სავარაუდო

ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, მაგ., არსებული და სამომავლო სცენარები.

30. სგშ-ის ანგარიშში უნდა იყოს წარმოდგენილი ბგერითი და სინათლით დაბინძურების მართვისა და ეკოსისტემის მნიშვნელოვანი არელების განსაზღვრა-დაცვის საკითხები.
31. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის, გზებისა და ხიდების (ასეთის შემთხვევაში) მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე და გარემოს სხვა კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ (შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით);
32. სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია ტურიზმის განვითარებისა და ტურისტული ნაკადის ზრდის გათვალისწინებით, გარემოზე ზემოქმედების შესახებ;
33. სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმით გათვალისწინებული საკითხები და მათი მიმართება სტრატეგიულ დოკუმენტთან. ასევე, სგშ-ის ანგარიშში შეფასებული უნდა იყოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმის ხედვების განხორციელებით გარემოს კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების საკითხები.
34. სგშ-ის ანგარიშში სრულყოფილად უნდა იყოს განხილული დოკუმენტაციით გათვალისწინებული გრძივი და განივი კავშირების ჩამოყალიბების და ამ ღონისძიების განხორციელების გარემოზე შესაძლო ზემოქმედების საკითხები.
35. სგშ-ის ანგარიშში უნდა გაანალიზდეს საერთო სარგებლობის მწვანე სარეკრეაციო არელებზე ხელმისაწვდომობა.
36. სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ რუკებზე მოცემული ინფორმაციის ანალიზი: „ქ. ბათუმის გამწვანებული ტერიტორიების ოპტიმალური განაწილების რუკა“ და „ქ. ბათუმის არსებული გამწვანებული ტერიტორიების განაწილების რუკა, საბალანსო ერთეულების მიხედვით“.
37. სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში საჭიროა, განხილული იყოს ინფორმაცია ქ. ბათუმის ლანდშაფტისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული არელების შესახებ (ბუნებრივი ლანდშაფტები; სტატუსიანი გამწვანებული ტერიტორიების (მათ შორის „არაოფიციალური“ და „სავარაუდო“; „ბუნებრივი სივრცითი დომინანტები“) ფუნქციების, დადგენილი შეზღუდვების და ნებადართული საქმიანობების შესახებ.
38. სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში განხილული უნდა იყოს დანართების სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის ლანდშაფტის დაცვის გეგმა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა.
39. სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ურბანულ ადგილებში მწვანე სივრცეების დაგეგმარების,

ლანდშაფტის დაცვის გეგმაში ნახსენები „ლანდშაფტური კავშირების“, გრძივი და განივი ბულვარისა და საპროექტო „მწვანე დერეფნების“ შესახებ (ადგილმდებარეობის მითითებით). ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დოკუმენტში ნახსენები „ფეხით გადაადგილების კონცეფცია ძველი ქალაქის საზღვრებში“, შემუშავდეს ანალოგიური კონცეფციები ბათუმის სხვა არეალებისთვისაც და წარმოდგენილი იყოს დოკუმენტაციაში.

40. **სგშ-ის ანგარიშსა** და სტრატეგიულ დოკუმენტში უნდა იყოს წარმოდგენილი ლანდშაფტის დაცვის გეგმის მიხედვით იდენტიფიცირებული პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული ხედვები და ღონისძიებები. ასევე, შეფასებული და წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ლანდშაფტზე ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების საკითხები.
41. **სგშ-ის ანგარიშსა** და სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია განვითარების შესაძლებლობებისა და ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების დანართში მოცემული წამახალისებელი ღონისძიებების შესახებ. დაზუსტებული უნდა იყოს სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო არეალებში (შესაბამისი რუკების მითითებით) დაგეგმილი ხედვების/ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.
42. **სგშ-ის ანგარიშსა** და სტრატეგიულ დოკუმენტში ნარატიული სახით უნდა იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია კონცეფციაზე თანდართული გრაფიკული მასალით წარმოდგენილი ზონების შესახებ, კერძოდ, განაშენიანების რეგულირების პარამეტრები, სიმჭიდროვეები, შეზღუდვები, შენობებისთვის დასაშვები სიმაღლის ზღვრები. ასევე, უნდა აისახოს ინფორმაცია სტრატეგიულ დოკუმენტში ნახსენები კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და მათი რეჟიმების შესახებ.
43. **სგშ-ის ანგარიშსა** და სტრატეგიულ დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და ხედვების განხორციელების ფართობები.
44. **სგშ-ის ანგარიშსა** და სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი ხედვების/ღონისძიებების განხილვის ნაწილს თან უნდა ახლდეს რუკები, სადაც შესაძლებელი იქნება დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება. ამასთან, პოლიცენტრული არეალები განხილული უნდა იყოს გენერალური გეგმის კონცეფციის რუკასა და სივრცითი დაგეგმვის კონცეფციის ზონირების რუკასთან მიმართებით.
45. **სგშ-ის ანგარიშსა** და სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გენერალური გეგმის კონცეფციის რუკებზე წარმოდგენილი A, B, C, D, E, B1 და B2 აღნიშვნების შესახებ. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია რუკაზე ასახული ლანდშაფტური და გამწვანებული ტერიტორიების შესახებ. რუკებზე მოცემული ინფორმაციის იდენტიფიკაცია უნდა ხდებოდეს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და ხედვების შესაბამისად.

ამასთან, დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმვის ობიექტის დოკუმენტის დანართში მითითებული საბალანსო ერთეულების შესახებ ინფორმაცია (შესაბამისი რუკის მითითებით).

46. სგშ-ის ანგარიშში, სტრატეგიულ დოკუმენტსა და თანდართულ დოკუმენტაციაში დაზუსტებული უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის სახელი. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს დაზუსტებული ინფორმაცია დოკუმენტაციით წარმოდგენილი გდგ-ის არელებისა და განსაკუთრებული რეჟიმის ტერიტორიების შესახებ.
47. სგშ-ის ანგარიშში უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია ანგარიშის მომზადებაში ჩართული ექსპერტების თაობაზე, კვალიფიკაციის მითითებით.
48. სგშ-ის ანგარიშის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ სახელმძღვანელოთი“ გათვალისწინებული რეკომენდაციები და მიდგომები.
49. სგშ-ის ანგარიშში მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურის/წყაროს ნუსხა;

#### **სგშ-ს ანგარიშის მომზადებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ინფორმაცია:**

- სკოპინგის განცხადებაში, კლიმატური და სამშენებლო კლიმატური მახასიათებლებისთვის (ბათუმი აეროპორტი, ქალაქი ბათუმი, ჩაქვი) საანგარიშო პერიოდები მითითებული არ არის, შესაბამისად, შეუძლებელია შედარება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბაზაში არსებულ კლიმატურ და სამშენებლო კლიმატურ მახასიათებლებთან. სგშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნული საკითხი და წარმოდგენილი იყოს სრულყოფილი ინფორმაცია.
- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში არსებული ინფორმაციით, გეგმარებითი არეალი მოიცავს მიწისქვეშა წყლის ლიცენზირებულ და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით დასკვნა მომზადებულ ობიექტებს და მათ პირველი სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონებს. ასევე, გეგმარებითი არეალი შედის ჭარნალის მადანგამოვლინებისა და ამავე ტერიტორიაზე, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, სასარგებლო წიაღისეულის (ოქრო, პოლიმეტალები) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით მომზადებული სააუქციონე ობიექტის კონტურში. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საბადოზე ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში არ უნდა შეიზღუდოს წიაღისეულით სარგებლობა.
- გეგმარებითი არეალის მიმდებარედ არსებული დაცული ტერიტორიების მიმოხილვისას საჭიროა, ასევე იყოს განხილული მაჭახელას დაცული ლანდშაფტი.
- სკოპინგის განცხადების 38-ე გვერდზე მდ. მეჯინისწყლის ნაცვლად უნდა ეწეროს მდ. ჩაქვისწყალი. ამასთან, მდინარე ჩაქვისწყლის (3/ს სოფ. ხალა) 1980 წლის შემდგომი პერიოდის ჰიდროლოგიური მონაცემები განთავსებულია გარემოს ეროვნულ სააგენტოს მონაცემთა ბაზაში. სკოპინგის განცხადების 43-ე, 44-ე და 45-ე გვერდებზე



მოცემული ინფორმაცია საჭიროებს კორექტირებას, კერძოდ, ეკოლოგიური ხარჯის მნიშვნელობად მიღებულია საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10 %, და არა - 10 %-იანი უზრუნველყოფა;

- დაცული უნდა იყოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.
- სდგ-ის და გენერალური გეგმის კონცეფციის ტექსტურ ნაწილში არ არის განხილული ქვე-ცენტრი „ბაგრატიონის“ შესახებ ინფორმაცია. საჭიროა, სგშ-ის ანგარიშის წარმოდგენისას გათვალისწინებული იყოს აღნიშნული საკითხი.
- დაზუსტებული უნდა იყოს „სატრანსპორტო კვანძი 2“-ის ტერიტორიის ფუნქციურად გადანაწილების საკითხი (პროცენტულ მაჩვენებლებში).
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გენერალური გეგმის ერთ-ერთი ამოცანა არის ქალაქ ბათუმის სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო ტერიტორიული რესურსის მოძებნა და რეზერვაცია. სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია აღნიშნული ტერიტორიების შესახებ (ადგილმდებარეობის მითითებით).
- კონცეფციის მთავარი სქემის რუკის ლეგენდაზე წარმოდგენილი ფუნქციური არელების პირობითი აღნიშვნები იდენტურია, რაც ართულებს რუკის წაკითხვას. საჭიროა, სგშ-ის ანგარიშის წარმოდგენის დროს კორექტირებული იყოს აღნიშნული ხარვეზი.
- ახალი საუბნო განაშენიანების ტერიტორიების, „ბასმისა და „ბენზეს“ ფუნქციური გადანაწილების სქემით განსაზღვრული ზონები არ ემთხვევა სივრცითი დაგეგმვის კონცეფციის ზონირებისა და გენერალური გეგმის ზონირების რუკებს. მაგალითად, ახალი საუბნო განაშენიანება „ბენზეს“ საპროექტო უბნის ზონირების რუკის მიხედვით ტერიტორიაზე წარმოდგენილია სარეკრეაციო, საცხოვრებელი და საქმიანი ზონები, ხოლო გენერალური გეგმის კონცეფციის რუკის მიხედვით აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგენილია საწარმოო ზონა. სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში საჭიროა დაზუსტდეს ზონებს შორის სხვაობა.
- საჭიროა, წარმოდგენილი იყოს რუკა, სადაც ერთად იქნება ასახული სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი ყველა ზონა და ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებები.
- სტრატეგიულ დოკუმენტში საჭიროა, დაზუსტებული იყოს ახალი საუბნო განაშენიანების ტერიტორიების ფუნქციური გადანაწილების შესახებ ინფორმაცია.
- დოკუმენტაციის მიხედვით, ახალი საუბნო განაშენიანება „ბენზეს“ ტერიტორიაზე არსებობს „სტატუსიანი გამწვანებული არელები“, რომლებიც საჭიროებენ განვითარებას. საჭიროა, წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია აღნიშნული ტერიტორიების სტატუსისა და განვითარებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.
- სდგ-სა და გენერალური გეგმის კონცეფციის ტექსტური ნაწილის კომბინირებულ დოკუმენტში ერთიანი სტრუქტურის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა

ღონისძიება და ხედვა, რომელიც დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით.

- სგშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს მიზეზშედეგობრივ, თანმიმდევრულ მსჯელობასა და ანალიზს, როგორც წარმოდგენილი კონცეფციის, ასევე მის დანართებში არსებულ გარემოსდაცვით საკითხებთან და დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

**სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით.**

#### **დასკვნითი ნაწილი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ბათუმის სივრცის დაგეგმარებისა და გენერალური გეგმის კონცეფციის სგშ-ის ანგარიში სავალდებულოა მომზადდეს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის შესაბამისად.